PDF Eraser Free

დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას შპს- „არსის“ ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირმა ქორთუა

წევრები:

მზია ბაკურიძე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: -: **შპს „არსი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: -**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II.ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით დანიშნული მონიტორინგი.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა**	**აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**	**სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**
„ფარმაციის (სააფთიაქო)“	32		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 2 ნოემბრის # 0001174761 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.გ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით 2021 წლის 10 ნოემბერს განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი შპს "არსიში" (მის: ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. №4) მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის შემოწმების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შევისწავლეთ დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია რის საფუძველზეც შემუშავებულ იქნა ვიზიტის დღის წესრიგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელს (ფარმაცია (სააფთიაქო)). გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან კოლეჯიდან განხორციელდა დისტანციურად. ექსპერტების მიერ დათვალიერებული და გადამოწმებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა.

წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილ შესაბამისად. ამ წარმოების ფარგლებში ფარმააციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის 2.2 და 2.3 კომპონენტი შეფასდა სრულ შესაბამისად. შესაბამისად, მე-2 სტანდარტის არის სრულ შესაბამისობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

კოლეჯის „არსი“ პროფესიული განათლების მასაწვალებლები დისტანციური სწავლების დროს ეფექტურად იყენებენ **Google Meet** პლატფორმას, რაც მდგომარეობს მისი ყველა ფუნქციის ეფექტურად გამოყენებაში სწავლების ინტერაქტიულად ჩატარების უზრუნველსაყოფად. პროფესიული განათლების მასწავლებელები აქტიურად იყენებენ დისტანციური სწავლების დროს წყვილებში და ჯგუფებში მუშაობას, სიტუაციური ამოცანების განხილვას, ტესტებს. ასევე აღსანიშნავია პროფესიული განათლების მასწავლებლების გუნდური მუშაობა, ტესტების შექმნის გამოცდილებისა და ცოდნის ერთმანეთისათვის გაზიარება.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

2.2.1. (3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების გათვალისწინებით და მათთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია, რაც შეეხება შეფასების კომპეტენციას, **რეკომენდირებულია გაგრძელდეს ტრენინგების კურსი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებისათვის** - ***შესრულებულია.***

2.2.1(7). პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარია 8 პროფესიული სტუდენტი. საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი შედგება სწავლის გადასახადისაგან; ხოლო ხარჯვითი ნაწილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მოიაზრებს პროფესიული განათლების მასწავლებლების სახელფასო ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის ხარჯს, კომუნალურ ხარჯს და სხვა ზოგად ხარჯს. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი და რენტაბელობის ზღვარი არარელევანტურია, ვინაიდან მასში არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციის სახელფასო ანაზღაურება, ასევე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იმ ამოცანების ხარჯი, რაც მოითხოვს ფინანსურ უზრუნველყოფას, როგორიცაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის დამატება, პროფესიული სტუდენტების კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის განვითარება.

აღნიშულიდან გამომდინარე პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და საჭიროა დაწესებულებამ რეალურად შეაფასოს ხარჯვითი ნაწილი და შესაბამისად განსაზღვროს რენტაბელობის ზღვარი - ***შესრულებულია.***

2.3.1(1). **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დაწესებულების დირექტორის მიერ 2019 წლის 4 ოქტომბრის №1-47 ბრძანებით დამტკიცებულია **„ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები“.**

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს დემინგის ციკლის შესაბამისად: **„დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე** ”დოკუმენტის თანახმად.

დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიშები დაწესებულების მიერ სააფთიაქო ქსელების კვლევის შესახებ, კვლევა ჩატარდა პირისპირ გამოკითხვით, გამოიკითხა სააფთიაქო ქსელი „იბერი+“, „ემფარმა“ და „იმპექსი“.

დაწესებულებას კომპონენტი შეფასებული აქვს „მეტწილი შესაბამისობით“ და წარმოდგენილი აქვს გაუმჯობესების გეგმა; ამოცანის მიხედვით (25.02.21- 25.06.21 პერიოდში) ხდება დაგეგმვა, დაწესებულება პირველ თვეს გაეცნობა პროგრამის სხვა განმახორციელებელი დაწესებულებების საუკეთესო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოცდილებებს, მეორე თვეს მოხდება მოძიება მეტი დაინტერესებული მხარის და მოხდება უკუკავშირი, მესამე თვეს მოხდება ცვლილება - დაქვემდებარებული კომპონენტების იდენტიფიცირება და გაიწერება ცვლილებებისთვის საჭირო ინდიკატორები, მეოთხე თვეს **მიღებული უნდა იქნას პროგრამის გაუმჯობესების ახალი მექანიზმი** - ***შესრულებულია***

VII გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

VIII. რეკომენდაციების შეჯამება

IX ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში /Higher Vocational Qualification in Pharmacy
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება №1-10; 24.02.2021წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	.ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. №4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	32 პროფესიული სტუდენტი; ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. №4; მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე,	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)**	**(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრულად შეესაბამება	სრულად შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრულად შეესაბამება	სრულად შეესაბამება

XI სტანდარტის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A, B, C (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო.

A გარემო - აუდიტორია №4 - 35კვ.მ ფართი, 16 პროფესიული სტუდენტისათვის, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. A გარემოში განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, კომპიუტერი (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატები, სიმულაციური აფთიაქი შესაბამისი აღჭურვილობით, რეცეპტები, ბავშვთა კვების, დეკორატიული კოსმეტიკის საშუალებები, ავადმყოფის მოვლის საშუალებები, სხადასხვა ჯგუფის პრეპარატების სიმულაციური ნიმუშებით.

B გარემო - (ოთახი №2) 15 კვ.მ ფართი - განთავსებულია 10 პერსონალური კომპიუტერი, 9 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის, ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ აღნიშნულ ფართს იყენებენ „საექთნო საქმის“ პროგრამის ფარგლებშიც და მათივე განმარტებით B სასწავლო გარემოში სწავლება განხორციელდება 2 ჯგუფად. დაწესებულებას გააჩნია ასევე მეორე B გარემო 17 პერსონალური კომპიუტერით, რომელიც გამოიყენება „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებენ.

C გარემო - აუდიტორია №8 (ლაბორატორია) - საერთო ფართით 35 კვ.მ. განკუთვნილია 16 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია რეკომენდაციით განსაზღვრული ყველა ინვენტარი: სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, მაშრობი კარადა, მაცივარი, სითხოვანი წამალთფორმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით (სხვადასხვა მასალის, ზომის და ფერის), გამშრალი სამკურნალო მცენარეული ნედლეული, ჰერბარიუმები, სამკურნალომცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილები, ალკოჰოლომეტრული ცხრილები, ხსნარის მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტების ცხრილები, სინჯარები, მინის წკირები, სასაგნე მინები, გრადუირებული გამზომი ცილინდრები (10,50,100,500მლ.), მინის კოლბები, სხვადასხვა ზომის შტანგლასები, წყლის აბაზანა, თერმომეტრების ნაკრები, სასწორები (ხელის), საწონების კომპლექტი, სპირტქურები, შტატივები, როდინები სასრესით (სხვადასვა ტევადობის), ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაცია მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადების წესებთან დაკავშირებით, მიკროსკოპები, რეფრაქტომეტრი, რეაქტივები, გამოკრულია ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები, მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლითვის, დაფა და სხვა.

დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 4 ფარმაცევტულ დაწესებულებასთან: **1. შპს „ემ ფარმა“** (ხელშეკ. 30.10.2020; 3 ფილიალი); **2. შპს „იბერიფარმა+“** (ხელშეკრ, 28.10.2020; 2 ფილიალი); **3. შპს „ფარმაცია“** (ხელშეკრ. 22.02.2021), **4. სს „გეფა”** (ხელშეკრ. 28.06.2021 9 ფილიალი). ხელშეკრულებებს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის 8 მოდულის ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათები, ობიექტზე უსაფრთხოების წესების დაცვის ვალდებულება. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფილია 16-16 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე შემდეგი მოდულების გავლა:

ა)მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალურალური ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;

ბ)მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;

გ)მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის საშუალებების შერჩევა;

დ) მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;

ე) მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვ) პროდუქციის მიღება -განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;

ზ) მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება.

თ) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში .

სს „გეფას“ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან და პრაქტიკის სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელთან მოხდა გასაუბრება დისტანციურად და გამოიკვეთა მათი სრული მზაობა.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 32 პროფესიული სტუდენტისთვის, 2 სასწავლო წელზე - 16 პროფესიული სტუდენტი წელიწადში, ორ ცვლაში.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 22 პროფესიული პედაგოგი მათ შორის 16 დარგის კვალიფიციური სპეციალისტი. ფარმაცია (სააფთიაქო)-ს პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლები აყვანილია დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინფორმაცია განმახორციელებელ პირს რელევანტურს ხდის ამ კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ფარმაცია (სააფთიაქო) განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), მათი საათობრივი დატვირთვა და მოხდა მათთან გასაუბრება. მოწოდებული აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები, სიმულაციური მეცადინეობები და თემატური კონსულტაციები შემდეგი მიმართულებებით: 1. „უწყვეტი პროფესიული განათლების ცენტრთან“ ერთად ორგანიზებული ტრენინგი **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია/შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება“.** 2. საქართველოს პროფესიული კონსულტირების ასოციაციის ტრენინგი: „**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება**“; 3.საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ტრენინგი **“კომპეტენცებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში**”, რამდენიმე ეტაპად. 4. თემატური კონსულტაციები: ა)ახლი პროფესიული მასწავლებლებისთვის მოდულის შინაარსის წაკითხვა-გაცნობიერება; ბ)მოდულების განხილვა პედაგოგების ჩართულობით: მოდულის შედეგებზე და კრიტერიუმებზე დაყრდნობთ განსახორციელებელი აქტივობები, .კალენდარული გეგმის შედგენა თითოეული პედაგოგის მიერ, მოდულის ადაპტირება სასწავლო გეგმასთან; გ)Google Meet - ის პროგრამით თეორიული მეცადინეობის განხორციელების სტრატეგიები და მეთოდები; ე)პროფესიულ პედაგოგთა სასწავლო მეთოდების და სტრატეგიების ურთიერთგაზიარება; ვ)მოდულის თეორიული კომპონენტების სიმულაციური მეცადინეობის ორგანიზება, ზ)მოდულის პრაქტიკული კომპონენტების სიმულაციური მეცადინეობის ორგანიზება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მასწავლებლებმა მიიღეს ინდივიდუალური კონსულტაციები ხარისხის მართვის მენეჯერისგან, ჩაატარეს სიმულაციური მეცადინეობები, შეიმუშავეს შეფასების ინსტრუმენტები და აქტიურად იყვნენ ჩართული მოდულების ადაპტირებაში.

ზემოთაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე კოლეჯში დასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია ბრძანებით, დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და ვალდებულებები.

პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით ირკვევა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია „ფარმაცევტი“ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გააჩნია დარგობრივი კომპეტენცია და აფთიაქში მუშაობის გამოცდილება. ასევე გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და აქვს მზაობა მუდმივად გაეცნოს პროგრამის შიდა და გარე შეფასების მონიტორინგის შედეგებს და პროგრამის სრულყოფის მიზნით მოახდინოს სათანადო რეაგირება, უწყვეტად განახორციელოს მონიტორინგი სასწავლო კურსის მოდულების ხარისხის და სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, მოაგვაროს პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზაციული საკითხები, დაესწროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად არჩევით მეცადინეობებს, შეამოწმოს სტუდენტთა პრაქტიკულ მოდულები პრაქტიკის ობიექტებზე, ორგანიზება გაუწიოს კალენდარული გეგმების მომზადებას, სასწავლო ლიტერატურის და მასალა-რესურსების შეძენა- განახლებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებს, ადამიანური რესურსის განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შერჩევითად იქნა გადამოწმებული საგანმანათლებლო რესურსი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,ფარმაცია(სააფთიაქო)" მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დაწესებულების ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ელექტრონული ან მატერიალური, უმეტესად კი ორივე სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; კოლეჯში ინახება წიგნადი ფონდის აღრიცხვის საინვენტარო წიგნი, წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ელექტრონული წიგნები ხელმისაწვდომობა მოდულების მიხედვით.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებაში არსებობს მზაობა, რათა სსსმ პირებს ქონდეთ წვდომა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლოგეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა დამოთხოვნილებების შესაბამისად; სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია **„ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიით"** , სადაც გაწერილია სსმ პირებისათვის საჭიროების შემთხვევაში მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი და შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა, ინდივდუალურად სწავლის დაგეგვის შესაძლებლობა და სხვა.

დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსი როგორც შენობის მთავარ შესასვლელში, ისე კიბეებზე და სველი წერტილები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც რენტაბელობის ზღვარია 8 პროფესიული სტუდენტი.

წინა ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი და რენტაბელობის ზღვარი არარელევანტური იყო .გაწერილი რეკომენდაციის შესაბამისად დაწესებულებამ ცვლილებები შეიტანა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, რომელიც მოიაზრებს :

ა) პროფესიული განათლების მასწავლებლების სახელფასო ანაზღაურებას,

ბ) მასალა-ნედლეულის ხარჯს,

გ) კომუნალურ ხარჯს დ) ზოგად ხარჯს (ინვენტარის შეძენა/ გაუმჯობესების ხარჯი),

ე) ადმინისტრაციის სახელფასო ანაზღაურებას,

ვ) პროფესიული სტუდენტების კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის,

ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის განვითარებას.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერულად. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ფარმაცია (სააფთიაქო)“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- კოლეჯი „არსის“ სსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგით;
- შპს „იბერიაფარმა+“ -თან, შპს „ემ ფარმა“-სთან და შპს „ფარმაცია“-სთან, სს ,,გეფა’’-სთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმით პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების შესახებ (პროგრამის დანართი 1.3);
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმით პროგრამის განხორციელებისთვის მატერიალური რესურსის შესახებ (პროგრამის დანართი 1.4);
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- 2021 წლის 24 თებერვლის ბრძ. № 1-11-ით „ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“.
- ადგილზე ჩატარებულ ტრენინგებზე გაფორმებული ოქმებით და ფოტომასალით
- „უწყვეტი პროფესიული განათლების ცენტრთან“ დადებული მემორანდუმით
- ვიზუალური დათვალიერებით
- გასაუბრებებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დაწესებულების დირექტორის მიერ 2019 წლის 4 ოქტომბრის №1-47 ბრძანებით დამტკიცებულია **„ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები“.** ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზანია კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შეფასების საფუძვლის შექმნა და შეფასების შედეგების ანალიზის შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შეფასებას საფუძვლად უდევს შეფასების ობიექტურობა, შეფასების პროცესის გამჭვირვალობა, შეფასების შედეგების საჯაროობა, შეფასების დამოუკიდებლობა, ვალიდურობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს დემინგის ციკლის შესაბამისად: **„დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე** ”დოკუმენტის თანახმად, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, გამოკითხვების საფუძველზე, მოხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება და შეფასების შედეგებს წარუდგენს დირექტორს; შეფასების შედეგების, კოლეჯის დირექტორთან და სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელებთან განხილვის შემდეგ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გაიწერება რეკომენდაციები და მიიღება გადაწყვეტილებები ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, რისთვისაც შემუშავებულია დამსაქმებლის კითხვარი.

დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიშები დაწესებულების მიერ სააფთიაქო ქსელების კვლევის შესახებ, რომელიც ჩატარდა პირისპირ გამოკითხვით, გამოიკითხა სააფთიაქო ქსელი „იბერი+“, „ემფარმა“ და „იმპექსი“.

წინა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას 2.3.1(1)კომპონენტი შეფასებული აქვს „მეტწილი შესაბამისობით“ და წარმოდგენილი აქვს გაუმჯობესების გეგმა. დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ადმინისტრაციული წარმოების რეკომენდაცია, გაეცნო პროგრამის სხვა განმახორციელებელი დაწესებულებების საუკეთესო გამოცდილებებს და მათი გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიმუშავა პროგრამაში ცვლილებებისთვის საჭირო ინდიკატორები და პროგრამის გაუმჯობესების ახალი მექანიზმი. ახალი მექანიზმი ეფუძნება 6 ძირითად კომპონენტს, რომლისთვისაც გაწერილია კრიტერიუემები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო მტკიცებულებები. დაწესებულება გეგმავს ყოველი სასწავლო წლის ანალიზის შემდეგ პროგრამის შეფასების დემინგის ციკლის მიხედვით შესაბამისი ცვლილებების ასახვა-გაუმჯობესება- განხორციელებას.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულების დოკუმენტში **„პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“** (პ.6) გაწერილია **„პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“,** რომლის თანახმად დაწესებულებას დამოუკიდებლად ცვლილების შეტანა შეუძლია მხოლოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის დამხმარე ჩანაწერებში. სხვა შემთხვევებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმებით“ (ბრძ. №1-47, 04.10.2019);
- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესით; (დამტკ.ბრძ. №1-08; 18.02.2021წ.)
- კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის დასკვნით სააფთიაქო ქსელების შრომის ბაზრის კვლევის შესახებ (22.05.2020);
- 2021 წლის 24 თებერვლის ბრძ. № 1-11-ით „ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“.
- პროგრამის შეფასების მექანიზმები და პროგრამის შეფასების სამოქმედო გეგმა; 29.06.2021
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი“ 30.11.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: